სახალხო გაზეთი

№ 633 კვირა, 24 ივნისი, 1912 წ. № 633

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ჭუჩა, დე ელირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მოსნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდილ წერილები და კორესპონდენციები სულ არ ებრუნებათ; ორიგინალებს თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოთხოვნა პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს

ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.

და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ივნისის 26-ს—ხონში, 27-ს—ახალსენაკში, 29-ს—სამტრედიაში, 30-ს ნაოღალევში და 1 ივლისს—ზუგდიდში.

აკაკი ფალავა

წაიკითხავს ლექციას:

„თამარ მეფე და ვეფხის ტყაოსანი.“

(თამარ მეფის ეპოქა და „ვეფხის-ტყაოსანი“ როგორც ამ ეპოქის საქართველოს კულტურულ მდგომარეობის გამომხატველი ნაწარმოები).

დაწვრილებით აფიშებში. (5.1355 1)

ახალი კლუბი

(საზოგადოებრივი შენობა)

კვირას, 24 ივნისს, გაიმართება

კონცერტი

40 დამკვრელისაგან შემდგარი სიმფონიური ორკესტრისა **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: მამა-კაცები 50 კაპ., ქალები და სტუდენტები 25 კაპ. კონცერტზე შესვლა მოწაფეთაც შეუძლიანთ 25 კაპ. ფასით. დასაწყისი სრულ 9 საათზე.

ანონსი: მოკლე ხანში შესდგება ბერლინის თეატრის ცნობილ მსახიობ ქალის **ლულუ კესსერის** კონცერტი. (1—1357—1)

„სანიტორი“

Кавказское Товарищество Торговли Аптекарскими Товарами

Тифлисъ Баку Батумъ.

ფეხის ალაგების საუკეთესო ავტომატიური დეზინფექტორი და ჰაერის გამწმენდი.

(1.1356.1)

დაარსებულია 1904 წ.

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

ექიმ ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

კახურა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ.

ვ. ღამბაშიძეს, ქ. ტფილისს.

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჰაობის ციებით დაავადმყოფებულნი.

არ მიიღება სიპლექით დაავათმყოფებული.

(25.1291.27)

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ბამბე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

ღლიური კრება

დანიშნულია მიმდინარე წლის 24 თიბათვეს, დილის 10 საათზე, სათავადაზნაურო გიმნაზიის სადგომში.

განსახილველია:

1) საზოგადოების ანგარიში 1911 წ.; 2) მოხსენება გამგე კომიტეტისა ამ ანგარიშის შესახებ; 3) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 4) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები; 5) მოხსენება გამგე კომიტეტის წესდებისა ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ; 6) ინსტრუქციის გადასინჯვა; 7) მოხსენება გიმნაზიაში მშობელთა წრის დაარსება; 8) ამორჩევა იმწევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

(2—1284—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოსია და დიდი მოურავის ამბები . — 30 კ.
ჟორდანია, თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა წიგნი I. . . . . 3 მ.—
— იგივე წიგნი II. . . . 3 „—
რუსეთის დამყარება საქართველოში . . . . . — 20 „
სტატისტიკური ცნობები საქართვ. შესახებ მე-XVIII ს. 2 „—
ფრონელი. ამბოხება კახეთისა . . . . . — 60 „
— მთიულეთი . . . . . — 40 „
ქართლის ცხოვრება მარდედ. ვარ . . . . . 3 „—
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-XIII ს.-მდე წ. I. — 40 „
— იგივე წიგნი II . . . 1 „—
— იგივე წ. III . . . . — 40 „
ქვარიანი. საქართ. მოკლე ისტორია . . . . . — 40 „
ქართველები სპარსეთში . — 20 „
ჭავჭავაძე ილია. აი ისტორია — 35 „
— სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი . . . — 30 „
ჭყონია. ისტორ. ნარკვევი. 1 „ 50 „

გასაყიდათ მიღებული ახალი წიგნები:

ბესიკი. „კაზმ. სიტყვ.“ გამოც. 1 „ —
გრდემლი. სალიტერ. კრებ. 1 „ 50 „
თავდადებული ეკიბი. ქართველი მეფე გლეხის ქოხში სტუმრად. . . . . — 5 „
ხალხური ვეფხის ტყაოსანი — 10 „
რჩეული თხზ. გ. ერისთავისა — 60 „
დარვინიზმი. ნათ. ფანცხავასი — 25 „
ექსპერიმენტალური პედაგოგია . . . . . — 75 „
ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურისა. კ. აბაშიძე — 70 „
ივანე გვარამაძე . . . . — 15 „
ბამბის თესვა-მოყვანა . . — 5 „
კონრად კიფერი. ლ. ჯანდიერისა . . . . . — 25 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი — 20 „
ქლექი. მეგრაბიანცისა . . — 30 „
ტატო წულუკიძე . . . — 35 „
Кавказъ и памятники духовной культуры. Рѣчь Марра — 20 „
ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. წ. I. მ. ქ. ყიფიანი . . . . — 30 „
იგივე წ. II. ქართული ზმნის ძირი თერ. მ. ქ. ყიფ. . — 10 „

ადრესი: Тифл. О-во расп. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.61)

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად IV წ. „ზრდილს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-ქ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული აქ ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტფილისის სახანძრო ჰალატა

ქალაქის უძრავ ქონებათა სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებს აუწყებს, რომ ფულის პირველი-ნახევრის გადახდის ვადა თავდება დამდეგ ივლისის პირველსა. ამ ვადის შემდეგ, 1910 წლის 6 ივნისის დებულების 52 მუხლის თანახმად, გადასახადის ნახევარი „ნედოიმკად“ გადაიქცევა და იმავე დებულების 54—60 მუხლთა თანახმად გადაჰხდებათ ძალით. ამას მიემატება ჯარიმა, ხსენებულ ვადიდან თვეში 1%. ფული უნდა შეიტანონ ადგილობრივ ხაზინაში „სოკლადი“ ფურცლისა, ან ფულის გადახდის განკუთვნილებითურთ.

(3—[illegible]—4—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმ. ენგიბაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაცი-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ნ. ს.: **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ჭიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ქირურგიული (სადისტანციო): **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½ ს.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

საშობიარო-ქალთა სენების (ფსიქიური): ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ბავშვთა სენების: **ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ნერვ. სენების: **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ყელ. ცხვირ. ყურ. სენების: **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

თვალის სენების: **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

კანის და ბინძურ სენების: **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსხულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტროთი წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მეღავაციანი საფასურით. (წ. 1010.54)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და გინეკოლოგიურ კლინიკების ორდინატორად ყოფი, იღებს ფეზმძიმეთ, დედათაბუნების დისტანციურ და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, ორმანის ქ. სახ. № 18, თავ. ვახინაძისა. ეცნობა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიას პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფებს მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით იღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 194)

დ. სამტრედიაში

—სადგურის პირდაპირ—

ახლად გაიხსნა საუცხოვოდ მოწყობილი რესტორანი

„ინტელიგენტი“

აზიურ და ევროპიულ სამზარეულოთი, ზომიერ ფასებში; თვიურად აბონემენტის ფასი: 2 თავისაგან 10 მან. 3—15 მან., 4 თავისაგან 18 მ. ერთი ჭიქა ღვინით.

პატივისცემით **დ. ჭანკოტაძე.**

(4—1342—4)

შეიძლება დაძვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საბანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. ვიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დათმობა. გასასყიდად წიგნი არ გაიცემა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორდანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** და წერა-კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ფოთში—იონა მეუნარგიასთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ბაათომში—ს. მდივანთან. კავკაზში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ბაჭრაძესთან და იოსებ ოცხელთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან. ერევანში--ელენე ვირსალაძესთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე ბანკის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქუთაისი

ქუთაისში რკინეულოგის სავაჭრო

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.19) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპასოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარას., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს ½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—1 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ 606-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ბირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1234.19)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოჭოიკი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეორიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოსრიგებით,

წამლობა „606“-ით

(წლ—1018—293).

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—9)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ბიძის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბმად ჩვენგან შედგემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 324)

დოქტორი მედიცინისა

ზ. ი. ქალანთაროვი,

ზოგადებით იღებს ავადმყოფებს **ჟელეზნოვოდსკში:** შინაგან და ნერვ. ავადმყოფ. (წვამლ. ელექტრ.)

ადრესი: კურსავოის ქ. აგარაკი კარპოვისა. (4.511.4)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—45)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.189)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ბაბაშვისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწვამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—62)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შიგნით სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიღან—პირველ ენკენისთვემდი.

(25.468.23)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ჟაჟიაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 6)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.130)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვათა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.-ნ/ 2 საათ. ქახეთის ქ., № 1

ტფილისი, 24 ივნისი

წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. საკმარისი არ არის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა მარტო გამრავლება. თავიდანვე ამ დაწესებულებათა მოქმედება ისეთს კალაპოტში უნდა ჩადგეს, რომ მცხოვრებლებს მოუტანოს maximum-ი სარგებლობა. დღეს წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი ერთხელ შემუშავებულ შაბლონურ წესით მიმდინარეობენ. აღძრავს ესა თუ ის რაიონი შუამდგომლობას სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის წინაშე, ეს უკანასკნელი მისცემს ძირითად თანხად ორას თუმანს, გაუხსნის მოკლე-ვადიან ნდობას 300—500 თუმნამდე, და წვრილი საკრედიტო დაწესებულებაც იწყებს მოქმედებას. რა თქმა უნდა ჩვენისთანა პირობებში მცხოვრებ ერისთვის ესეც დიდს საშუალებას აძლევს თვითმოქმედების განსავითარებლად. მაგრამ თვითმოქმედებისა და ინიციატივის ასპარეზი მაინც შეზღუდულია. ამიტომ საჭიროა საკრედიტო დაწესებულებებმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბონ სხვა და სხვა სახის კოოპერატიული დაწესებულებანი, რომელნიც, ერთის მხრით, ხელს შეუწყობენ ხალხის თვითმოქმედების ამოძრავებას და მეორეს მხრით კი შესამჩნევად გააუმჯობესებენ მცხოვრებთა ეკონომიურ ხარეს.

თვითეულს საკრედიტო დაწესებულებას ცალ-ცალკე ამის გაკეთება ვერ შეუძლია. ისინი ჯერ ღარიბები არიან. დროთა ვითარებით იქნება ამ საკრედიტო დაწესებულებებშიაც შესამჩნევი თანხა დატრიალდეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით თვითეულ მათგანის მოქმედების ასპარეზი ძალიან შეზღუდულია. ამიტომ თუმცა სასარგებლო, მაგრამ ძნელად შესასრულებელ მიზნებს თვითეული მათგანი ცალ-ცალკე ვერ დაისახავს. ამისათვის საჭიროა შექმნა ისეთის ორგანიზაციისა, რომელიც უფრო უკეთესად მოაწყობს ამ საქმეს. ასეთს ორგანიზაციად კი ჩვენ წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირი მიგვაჩნია. კავშირის დაარსება ერთმანეთს შეუთანხმებს სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედებას, გაუწევს ხელ-მძღვანელობას და ამასთანავე ერთად უკეთესად გამოსძებნის საშუალებას თვითოეულის მათგანის საშუალებათა გასაძლიერებლად.

ტფილისის გუბერნიაში უკვე საკმაოდ არის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი. საჭიროა თვითეულმა ამათგანმა თავის წევრთა შორის გაავრცელოს აზრი კავშირის შესახებ, განუმარტოს მნიშვნელობა კავშირისა და მერე კიდეც შეუდგეს ამ აზრის განხორციელებას.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ზაკავკაზიეს“ გუშინდელ (140) ნომერში დაბეჭდილია ცნობილ ნ. დურნოვოს წერილი საქართველოს ეკლესიის თაობაზე ნ. დურნოვო სწერს:

„ამიერ-კავკასიის ნაციონალისტთა ორგანოს — გოლოს კავკაზას', რომელიც თავის საქმეს ერთა შუა შუღლის გაღვივებით იკეთებს, დაუწერია ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ ფრიად სულელური და უბადრუკი წერილი ქართველ თავად-აზნაურობის მიერ 27 მაისს, რუსის ეგზარხოსთაგან გავერანებულ საქართველოს ეკლესიის დასაცავად ხმის ამოღების გამო ეკლესიის ავტოკეფალია წმ. ეკლესიის მტრებს აშინებს, რადგან ისინი საქართველოში მართოდენ წმ. ეკლესიას კი არ უთხრიან სამარეს, არამედ ხელს უწყობენ რევოლიუციასაც

საქართველოს თავისუფალი ეკლესია კი პოლიტიკას თავს დაანებებდა, დაიწყებდა ზრუნვას საკუთარ ეკლესიის კეთილ-დღეობისა, სარწმუნოების ხალხში აღდგენისათვის. ეს მიზანი კი შეეფერება რუსის გვირგვინოსან მეფეს, მაგრამ ხელსაყრელი არ გახლავთ პატრიოტიზმის სხელის მატარებელთა ამიერ-კავკასიის რუსის ნაციონალისტებისათვის.

ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებით პატივისცემით ვექცეოდით რუსეთის ერთგულს და ქველს ქართველ თავად-აზნაურობას, რომელსაც რუსეთის იმპერიის სახელი გაუთქვამს კავკასიაში. ბევრჯერ გაუმარჯვნია მისი მეთხებით რუსის ჯარსა. ძალიან გვაკვირვებდა ქართველი თავად-აზნაურობის საქციელი იგი ბრძოლაში და ომში ძლიერი და მორწმუნე—თითქმის გულ-გრილად შეჰყურებდა საკუთარ ეკლესიის გავერანებასა და დანგრევას, ქართველი ხალხის სარწმუნოების მოსასპობასა და გარევოლიუციონერებისათვის მოღვაწეობას. ძალიან გვიკვირდა, ქართველმა თავად-აზნაურობამ, რუსის მონარქიის ერთგულმა და მოყვარულმა, რატომ მხარი არ დაუჭირა ქართველთა სამღვდელოებას 1905 წელს, როდესაც წამოაყენეს ივერიის ეკლესიის ფეხით გაუელილ და დაჩაგრულ უფლებათა საკითხი“.

შემდეგ ავტორი დასძენს, იმედია ქართველი თავად-აზნაურობა შეეცდება, სთხოვს მეფეს რუსეთში გადასახლებულ ქართველთა იერამოქების დაბრუნებასაო; კირიონისასა და დავითისას და არქიმანდრიტ ამბროსისას, რადგან ეს პირნი თავის სამშობლოს ეკლესიის ერთგულნი და ფრიად განათლებულნი არიანო. თავად-აზნაურობამ უნდა მიუთითოს მეფეს ეკლესიის გავერანება—დანგრევაზე, კანონთა დარღვევასა და პოლიტიკანობაზედაო. წერილის ბოლოს ნ. დურნოვო ამბობს, საქართველოს ეკლესიას უეჭველად უნდა მიენიჭოს ავტოკეფალია და თუ საჭიროა, ამიერ-კავკასიის რუსის ეკლესიას ცალკე არქიეპისკოპოსი ჰყავდესო.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

თავმჯდომარეობს აკიმოვი.

საბჭომ მიიღო 59 კანონპროექტი. სხვათა შორის მიიღეს უბედურ შემთხვევათა გამო დასახიჩრებულთათვის ფულის მიცემის კანონპროექტი.

შემდეგ მიიღეს რამდენიმე სხვა უმნიშვნელო კანონპროექტი.

საფინანსო კომისიის მომხსენებელი ავდაკოვი წინადადებას იძლევა, ქალაქ ბათუმის სასარგებლოდ საბარგო გადასახადის კანონპროექტი უარყოფოთო, რადგან მთავრობას მონაწილეობა არ მიუღია მის შემუშავებაში, ასეთი გადასახადი არასასურველი და უსამართლო არისო.

ერისთავი აღნიშნავს, ბათუმმა ძალიან ბევრი ფული დახარჯა ქალაქის ნავთსაღგურისათვის, რომელიც მრეწველობისათვის ძალიან არის საჭირო და ფული ძალიან უჭირსო. საჭიროა უეჭველად დაუბრუნდეს ქალაქს ხარჯიო.

საბჭომ, 63 ხმით 23 წინააღმდეგ კანონპროექტი ისევ საფინანსო კომისიას დაუბრუნა.

შემდეგი სხდომა მოხდება 25 ივნისსა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიების** შედგენას ქალაქის გამგეობა გუშინდლიდან შეუდგა. მუშაობისთვის თვალყურის დევნება დაევალა ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიუროს გამგეს თავ. ჰ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს.

✦ **დღეს, 24 ივნისს, მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრად ნამყოფი დეკანოზი მ. იოსებ მირიანაშვილი** ამავე ეკლესიაში უკანასკნელად სწირავს და მრევლს გამოეთხოვება, ხოლო 29 ივნისს სწირავს დიდუბის ეკლესიაში, სადაც ამას წინად იქმნა გადაყვანილი ეგზარხოსის მიერ.

✦ **სრულიად სომეხთა ქათალიკოსის გეორგ V** ტფილისიდან ეჩმიაძინს მიემგზავრება ორშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე.

✦ დღეს, 24 ივნისს, **ავლაბრის სახალხო თეატრში**, თეატრის გახსნის გამო, ავლაბრის ქართულ წარმოდგენების მმართ. წრე გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება „არივ დარია“ კომედია 1 მოქ. გუნიასი; დაიდგმება აგრედვე რუსული და სომხური ვოდევილებიც. წარმოდგენის შემდეგ დივერტისმენტი გაიმართება.

✦ **წვრილ კრედიტის საგუბერნიო კომიტეტი** აცხადებს, რომ 1) ქარელის წვრილ კრედიტის ამხანაგობის მოქმედების რაიონში შედის შემდეგი სოფლები: სამწერისი, სანებელი, კახიჯვარი, ზემოხვედურეთი, და ქვემო-ხვედურეთი (გორის მაზრა) 2) ქვემო-ჭალის ამხანაგობაში: ნადარბაზევი, ხურვალეთი, ორგომანი და რენე (გორის მაზრა) და 3) აწყურის ამხანაგობისაში: ოქიო, ხორხელი, ალავერდი, კოლოთო და ჯანაანი (თელავის მაზრა).

✦ **ხილეულის გამოფენა.** 20 ივნისს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდა ტფილისში მომავალ წლის მეორე ნახევარში ხილეულის გამოფენის მომწყობ კომიტეტს. კომიტეტმა დაადგინა, ახლავ აღძრას შუამდგომლობა, რათა მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა გამოუფენის მოსაწყობად 1,500 მანეთი გადასდოს. კომიტეტმა აგრედვე დაადგინა, ადგილობრივ ენებზე დაბეჭდოს გამოფენის პროგრამები და ხალხში უფასოდ გაავრცელოს.

✦ გუშინ საღამოს, მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს გ. ს. ლორთქიფანიძე, რომელსაც 129 მუხლის ძალით წლის ციხე ჰქონდა მისჯილი.

✦ **უფასო სეირნობა.** პარასკევს, 22 ივნისს, მუშტაიდში სახალხო სეირნობა გაიმართა სახალხო სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ წრის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. ბაღში რომელიც გაჩირაღდნებული იყო, შესვლა უფასოდ იყო. სეირნობას ხალხი ბლომად დაესწრო და ხალისით ყიდულობდა სხვა და სხვა ნივთს და მონაწილეობას იღებდა თამაშობაში (პატარა და სხვ.) დასასრულ ხალხს უფასოდ სინემატოგრაფი უჩვენეს.

✦ **ქალაქის შემოსავალი და ხარჯი.** მიმდინარე წლის იანვარსა, თებერვალსა და მარტში ქალაქის კასაში შესულა სულ 652,857 მ., ამავ ხნის განმავლობაში ქალაქს დაუხარჯავს 781,201 მან.

✦ **პსიხოლოგიური წრე.** ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოების თაოსნობით და პედაგოგის ბ-ნ მარქარიანის ხელმძღვანელობით ტფილისში დაარსდა ჰსიხოლოგიური წრე, რომელსაც აზრად აქვს, ხელი შეუწყოს ბავშვების წესიერ აღზრდას. მოქმედების გეგმა წრეს შემუშავებული აქვს.

✦ „რუსკოე სლოვო“-ს, 19 ივნისის ნომერში დაბეჭდილია წერილი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნების შესახებ, ავტორი წერილისა „გარემშე აზნაური“ წერილში ეხება თავად-აზნაურთა წინამძღოლთა თანამდებობაზე არჩეულ თავ. ი. მ. სუმბათაშვილის პიროვნებას და მის წარსულ ცხოვრებას.

✦ **სახალხო სკოლების დირექტორმა** ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა ტფილისის მაზრის სოფ. დიდი ლილოს მცხოვრებთა დადგენილება, რომლითაც ისინი თხოულობენ სკოლის დაარსებას, სთხოვა ნება დართოს მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნას იქ პირველ დაწყებითი სკოლა.

✦ **ტფილისის მაზრის უფროსმა გუბერნატორს** მოახსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ საგარაკო ადგილებში პურისა და ხორცის ვაჭრები სანოვაგეს თავის ნებაზე ჰყიდიან, რითაც იწვევენ მცხოვრებთა საფუძვლიან საჩივრებს, უფროსმა სთხოვა გუბერნატორს, დაამტკიცოს აგარაკებისათვის განსაკუთრებული ნიხრი პურისა და ხორცისა.

✦ გ-ნ მ. წერეთელს, რომელიც ამ ჟამად ჰაიდელბერგში იმყოფება, განუზრახავს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან არსებულ ორიენტალისტების სემინარიასთან (წრე) **ქართული განყოფილება** გამართოს: ამ განყოფილების მიზანი იქნება გააცნოს უცხო საზოგადოებას ქართული ენა და კულტურა, რომელთა შესახებ მათ სრულიად არა აქვთ წარმოდგენა. ამიტომ ბ. წერეთელმა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რომ საზოგადოებამ ხელი შეუწყოს ამ იდეის განხორციელებას და, თუ შესაძლო იქნება გაუგზავნოს უფასოდ საჭირო წიგნები.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** ქალაქის სატეხნიკო კომისიამ 22 ივნისს განიხილა ტეხნიკური: მხრით იმათი წინადადებანი, რომელთაც ქუჩების მოკირწყვლა სურთ იჯარით აიღონ. რამდენად ხელსაყრელია წინადადებანი ფინანსიურის მხრივ, ამას ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისია გამოარკვევს,

✦ **ქალაქის სასაკლაოს ახალი შენობა.** 22 ივნისს კერძო თათბირი ჰქონდა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მიერ არჩეულ მცირე კომისიას, რომელმაც საჭიროდ იცნო გამოარკვიოს ღირსება იმ მასალისა, რომლითაც ქალაქის სასაკლაოს ახალი შენობა ააგეს. პოზვეულ იქმნება ექსპერტებად სამი ინჟენერი.

✦ **სასანიტარო კომისიამ** მეხუთე უბანში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა და ბევრგან სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა. დამნაშავეებს ოქმები შეუდგინა.

✦ **ხმოსანის პ. ბ. კიზირიას გადადგომა.** ქალაქის გამგეობამ გუშინ გუბერნატორს აცნობა, პ. ბ. კიზირიამ ხმოსნობას თავი დაანება და მის ადგილას მოწვეულ იქმნა მეხუთე საარჩევნო უბნის უფროსი კანდიდატი ნ. ნ. ოსტროგორსკიო.

✦ გუშინ ოსეფოვის დუქანში, ჩუგურეთში, ერთ ბიჭს, სახელად ვასილ ჩხეიძეს, ჯიბიდან ამოაცალეს 1800 მანეთი. ბიჭმა ეს ამბავი მამას უამბო და ეს უკანასკნელი ეძებს ქურდებს.

✦ **ვაჭრების ვაჭრობის დახურვის დრო.** ქალაქის გამგეობის ეკონომიურ განყოფილებას ვაჭრების ვაჭრობის დახურვის დროის შესახებ ბევრი განცხადება მოსვლია. ამ განცხადებათა მიხედვით ეკონომიურ განყოფილებას ეს საკითხი გადაუწყვეტია შემდეგ ნაირად: ვაჭრობა დაიხურება ზაფხულობით 10 საათზე, ზამთრობით 9 საათზე. ამ დროის გადაცილება ნებადართულია მხოლოდ ერთ საათით. ეს დადგენილება ეხება ყველა ვაჭრობას, გარდა ბაზრისა, ბაზრობისა, ბაზრის მახლობელ ადგილებისა და ბაზრის მოედნისა. ამ დადგენილების დარღვევისათვის დაწესებულია ჯარიმა 3 მანეთიდან 10 მანეთამდე.

✦ **ყასაბთა თავგასულობა.** გუშინ მეოთხე უბნის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა ხორცის ძვირად გაყიდვისათვის ოქმები შეუდგინა ყასაბებს: ს. კირვალიძეს, გ. ჭელიძეს, ო. ხაჩატუროვს და ვ. მაღლაკელიძეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ილიას ძეგლის დასამთავრებლად არჩეულ კომისიას,** რომელშიაც შედიან: გრიენგსკი, კალგინი, კლდიაშვილი და მარაქუე, 22 ივნისს, საღამოს, სხდომა ჰქონდა. კომისიამ წინასწარი მზადება დაიწყო ძეგლის სურათები და გამოარკვიოს, თუ რა შესწორების შეტანაა საჭირო. ამასთანავე შეადგენს საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვას და წარუდგენენ გამგეობას.

✦ **ზუგდიდისა და ლიხაურის** (ოზურგეთის მაზრა) **საზოგადოებებმა** ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებას სთხოვეს, ამ ადგილებში განყოფილება გაეხსნათ. ამიტომ საზოგადოების გამგეობამ შესაფერი შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე.

სასწავლებლებში

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** ნება დართო, გორის მაზრის სოფელ ხაშურის კერძო სასწავლებელი ექვს-კლასიან პროგიმნაზიად გადააკეთონ.

✦ მთავრობის ქალთა გიმნაზიის ზედამხედველმა საბჭომ სთხოვა ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებას მიყიდოს მას გიმნაზიის შენობის ასაგებად თავისი ადგილი, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ადგილის ფასი ნაწილ-ნაწილად იხადოს გიმნაზიამ. ვალის გადახდამდი კი აძლიოს საზოგადოებას ამ წლის სარგებელი.

ქუთაისი.

✦ **ლექცია.** ქუთაისის გუბერნატორმა აკაკი ფაღავას ნება დართო, წაიკითხოს ლექცია: „თამარ-მეფე და ვეფხის ტყაოსანი“ ივნისის 26-ს ხონში, 27-ს—ახალსენაკში, 29-ს სამტრედიაში, 30-ს ნაოღალევში და 1 ივლისს—ზუგდიდში.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა კრების დადგენილების თანახმად ბანკზე დარჩენილი მამულების მართვა-გამგეობის საქმე გამგეო ბის წევრთა შორის ამ სახით გაანაწილა: თავჯდომარეს—თ. მ. ფაღავას—ქ. ქუთაისი, ქუთაისის და რაჭალეჩხუმის მაზრები. გამგეობის დირექტორს, თ. ა. ლორთქიფანიძეს — პირობით გაყიდული ქონებანი და ქ. ბათომი. გამგეობის დირექტორს, თ. დ. მიქელაძეს—სენაკის, შორაპნის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები.

✦ ქალაქ. საბჭოს უკანასკნელი სხდომა დანიშნულია 25 ივნისისათვის, საბჭოს განსახილველი აქვს ბევრი საყურადღებო საქმე, რომელთა გადაწყვეტად საჭიროა დაესწროს სხდომას ხმოსანთა უმრავლესობა. ასეთია, მაგ. ქალაქის, გამგეობის მოხსენება სესხის აღების შესახებ ქალაქის საავადმყოფოს დასამთავრებლად, სამოქალაქო სასწავლებლის შენობის დასასრულებლად, თუმანიშვილისა და კოკოჩაშვილისაგან ადგილის შესასყიდად და სხვ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგა ახალ საარჩევნო სიების შედგენას.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული

„ვეფხის - ტყაოსანი“, რომანტული პოემა შოთა რუსთაველისა. ქართულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმანის ცდა მარჯორი სოფ უორდროპის ასულის მიერ. გამოცემული სამეფო საზოგადოების საფასთა. ლონდონი. (XV×273 გვ. in 8/0, ფასი 10 შილინგი (5 მანეთი).

ჩვენის მწერლობის სადღესასწაულო ამბის შესახებ გვინდა მკითხველს გამოვეხმაუროთ და მასთან ერთად გავიზიაროთ საერთო სიხარული მთელის ჩვენის ერისა. ქართველთა გენიოსის და მთელ მსოფლიოს წინაშე თავმოსაწონებელ ადამიანის გონების ნაწარმოები „ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურად გამოვიდა და ევროპიელ მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენის ერის უკვდავ შვილის თხზულება, გაიცნოს თვით ამ გენიოსის სამშობლო, მისი დიდებული წარსული.

ასეთი სიკეთე ქართულს მწერლობას ქართველთათვის მოჭირნახულემ, აწ განსვენებულმა მარჯორი უორდროპის ასულმა დასდო. უორდროპის ასული ეკუთვნის იმ მცირე რიცხვს ევროპიელთა, რომელთაც შეისწავლეს ჩვენი ენა, ლიტერატურა და ისტორია, იმ განსხვავებით კი, რომ განსვენებულმა არამც თუ შეისწავლა ენა, ლიტერატურა და ისტორია ქართველთა, არამედ ყოველსავე ამასთან ერთად უანგარო სიყვარულით შეიყვარა ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ხალხი და ქვეყანაც. უორდროპის ასულმა განათლებულ ევროპას გააცნო „განდეგილი“ ილ. ჭავჭავაძისა, „სიბრძნე-სიცრუვე“ ბა-ბა-სულხან ორბელიანისა, ქართული ხალხური ზღაპრები, „ვეფხის-ტყაოსანი“; მრავალი კიდევ სხვაცა სთარგმნა, რომელთა დასრულება და გამოქვეყნება ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა. განსვენებულს აღარ დასცალდა საბეჭდავიდან გამოსული ეხილნა თავისი უმთავრესი ნაშრომი —„ვეფხის-ტყაოსანის“ თარგმანი, და ამ წიგნის გამოცემისათვის ზრუნვა წილად ჰხვდა მისს დაობლებულ ძმას ბ-ნს ოლივერ უორდროპს, ცნობილ ლინგვისტსა და აღმოსავლეთის ლიტერატურის, და მათს შორის ქართულისაც, მცოდნეს, რომელიც ჩვენდამი იმავე სიყვარულითა და პატივისცემითაა გამსჭვალული, როგორც იყო მისი განსვენებული და.

უეჭველია, იკითხავთ, თუ როგორ შესძლო ინგლისელმა მთარგმნელმა, „ვეფხის ტყაოსანის“ თარგმნის დროს ეძლია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს რუსთაველის ენის გაგება თანამედროვე ქართველთათვისაც-კი. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მთარგმნელი, თვისდა სასახელოდ; მოჰკრავია ხსენებულს სიძნელეს, მოჰკრავია ისე, როგორც ეს შეეძლო მხოლოდ მხნე ასულს, რომლისათვისაც სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს, რომლისათვისაც არსებობს „სიძნელე“, გარნა არა „უძლეველი“. ყოველთ უწინარეს „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმნას განსვენებულმა თითქმის ოცის წლის შრომა მოანდომა, ჰკრეფდა ყოველსავე, თუ რამე დაწერილა ან იწერებოდა ამ პოემისა და მის ავტორის შესახებ ქართულად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად. იკვლევდა და იწვლილავდა ყოველის სიტყვის მნიშვნელობას ცალ-ცალკე, იშველიებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო საეჭვო ადგილი ასე თუ ისე განემარტებინა; საგრძნობელი იყო ძისთვის, რომ ქართულად არ მოგვეპოვება, გარდა ტრიოდ შრომისა, შეცნიერულნი გამოკვლევანი ჩვენის პოეტის და მისის ნაწარმოების შესახებ. გარნა დიდის ხნის რუდუნებისა და ხელნაწერის არა ერთ გზის შესწორების შემდეგ შესაძლებლად სცნო შრომა დასრულებულად აღეარებინა. თარგმანი პროზადაა, მაგრამ ისეთის დახვეწილის პროზითა, რომელიც კარგს ლექსს არ ჩამოუვარდება. ყოველი სიტყვა ზედმიწევნის სისწორითაა ინგლისურად გადმოდებული, ხოლო მეტად გაუგებარ და საეჭვო სიტყვებს, რომლის ნამდვილი მნიშვნელობა სადავოდ არის აღიარებული თვით ქართველ მკვლევართა მიერვე, სხოლიოებში დართული აქვს განმარტება ყველა ავტორისა, ვისაც კი რამე უთქვამს ხსენებულ სადავო სიტყვის გარა ადგილის შესახებ. და ყოველივე ეს იმ გულდადებითა და პუნქტუალობითაა ნაკეთები, რომელიც ესდენ ახასიათებს ევროპიელ მკვლევარს. იქნება, ინგლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვაგდოს ქართველობა და ჩვენს გონებრივს საუნჯეს უფრო მეტის ყურადღებით და ზრუნვით მოვეპყრათ, ვიდრე აქამდე გამოგვიჩენია ეს ზრუნვა და ყურადღება. იქმნება ჩვენც დავიარსოთ რუსთაველის პოემის და ენის შესასწავლი საზოგადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყოველ ქალაქში აქვსთ დაარსებული ეგრედწოდებული „დანტეს“ საზოგადოება“, სადაც მათის უკვდავის პოეტის და შოთას თითქმის თანამედროვე გენიოსის „ღვთაებრივ კომედიას“ მკოდნე პროფესორების ხელმძღვანელობითა სწავლობენ, იკვლევენ და ფართო მასისათვის ხელმისაწვდომად ხდიან მისს შინაარსსა და შიგ დაცულ საუნჯეს ენისას.

თარგმანს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა 15 გვერდიანი და ბოლოში დამატება აქვს დართული. ამ უკანასკნელში მოთავსებულია: ა) თარგმანი პროფესორ მარრის რუსულ გამოკვლევისა „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობისა და, უკანასიტყვაობის შესახებ. (261—265 გვ.), ბ) ბიბლიოგრაფია „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ დაწერილ წიგნებისა, და თუ საგაზეთო წერილებისა, მთარგმნელს რომ შეუგროვებია (რიცხვით 84) და რომელნიც ახლა ოქსფარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კუთვნილებას შეადგენენ (265—269 გვ.) და გ) რეფერანსები ან აღნიშვნა იმ ადგილებისა, სადაც ესა თუ ის პირნი, ადგილნი, ცხოველნი, მცენარენი, ლითონნი, სარწმუნოება და სხვა მოხსენებულნი არიან „ვეფხის-ტყაოსანში“ (269—273 გვ.). მეტად საყურადღებოა ხსენებული წინასიტყვაობა, რომელიც მეცნიერულ გამოკვლევას შეადგენს ჰომისას ტ ინგლისის მკითხველს უადვილებს პოემის შეგნებას. ავტორი ყოვლადის მიუკერძოებლობით აფასებს ჩვენს წარსულ ცხოვრებას, თუ კი რამ ღირსება მოგვეპოვებოდა, ინგლისელ მკითხველს უზიარებს, მისს თვალში გვამაღლებს. და ეს სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენს გარშემო ყველა იმის ცდაშია, არამც თუ აგვამაღლოს, არამედ, თუ კიდევ რამ პატივი მოგვეპოვება, აგვყაროს მაღლიდან დაბლა ჩამოგვწიოს... თავისს ვინაობას, ნამდვილ ინგლისურ თავმდაბლობით, ავტორი არ აჩენს, მაგრამ აშკარად ეტყობა ზედმიწევნით ცოდნა ჩვენის ენისა, იმასაც იგივე განუზომელი სიმპატია და თანაგრძნობა უღვივის გულში ჩვენის ხალხისადმი, როგორც უღვივოდა თვით სულმნათს და ქართველთათვის გულში ხატად-სატარებელ მარჯორი უორდროპის ასულს. დასასრულ, ავტორი მკითხველს აცნობს თვით მთარგმნელის ხანმოკლე ცხოვრებას, ცხოვრებას უზენაესის კეთილშობილების შარავანდედით მოსილს.

სამწუხაროდ, ბევრს არ ექმნება ბედნიერი შემთხვევა ჩვენის მოყვარე ინგლისელ მკვლევარის მიერ გამოთქმულნი დასკვნანი თვით დედანში წაიკითხოს. ამიტომ იმის მაგიერ რომ მისი შინაარსი გადმოგვცეკა, საუმჯობესოდ და საჭიროდ ჩავსთვალეთ სრულიად გვეთარგმნა ქართულად.

აი თვით ეს წინასიტყვაობაც:

„ეს ნაშრომი ცდაა პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით თარგმნილიყო ის წიგნი, რომელიც ერთ ბრწყინვალე წარსულის მქონე განათლებულ ერის სარკედ ითვლება, ეს სარკე ალაგ-ალაგ გაბზარული და დაზიანებულია დროისა და უბედობის გავლენით, გარნა სწავლულთა გულმოდგინე შრომას შეუძლია ისევ აღადგინოს მისი დაზიანებული ადგილები და დაუბრუნოს პირვანდელი ბრწყინვალება. თვით იმ მდგომარეობაშიაც კი, რა სახითაც ეს ნაშრომი წარმოდგენილია, შეუძლიც საზოგადო ყურადღება მიიპყროს, თავგადასავალი პოემისა ამ უკანასკნელს წაკითხვის ღირსადა ჰქმნის. ამ წიგნს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმით, რომ მთელის შვიდის საუკუნის განმავლობაში მთელის ერის საკითხავ წიგნად ითვლებოდა; უკანასკნელ ხანამდე ახალგაზდობა მას ზეპირად სწავლობდა; ყოველ გასათხოვარ ქალს მოყმეთხოვებოდა ყოველი სიტყვა ამ წიგნისა ზეპირად სცოდნოდა და გათხოვებისას მზითევში ამის ხელნაწერიც თან გაჰყოლოდა. ასეთი მოწიწება ამ წიგნისადმი და მერე ამდენის ხნის განმავლობაში საბუთია იმისი, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირის ამბავი წარმოადგენს ქართველთა ცხოვრების სურათს და მოწმობს იმ აზრის ჰეშმარიტებას, რომ მისი ღირსება, ცხადქმნილი 700 წლის ცხოვრებითა, რომელიც უმეტეს წილად ტანჯვითა და წვალებით იყო სავსე, ცხადიეე უნდა იყოს სხვა ერთათვისაც; რომ ასეთი წიგნი განძად უნდა ჩაითვალოს მთელის კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით კი ისეთ ერებისათვის, ვინც, მსგავსად ქართველთა, ბერძნების და ქრისტეანობის იდეალების გავლენა განიცადეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უცხო ერის ფსიხოლოგიასთან კი არა, არამედ თვით ხალხისავე სულიერ ცხოვრებასთან, რომელიც, მართალია, მეზობელ აზიის გონებრივის მოძრაობის ზეგ-

ბათომი

✦ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, ბათომის ქალაქის გამგეობას აუწყა, რომ მისი მხრით არავითარი დაბრკოლება არ ექნება რომ ქალაქმა მოიწვიოს კერძო კომისია, რომელიც გამაშრობელი მილების სიბინძურისაგან დაცვის წესებს შეიმუშავებს.

✦ ინგლისიდან დღითი დღე თხოულობენ კავკასიის ყველა ჯიშის მსხალის ნერგებს.

✦ გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კურსები მესამე სამოსწავლო რაიონის სახალხო მასწავლებელთათვის რომელნიც უკვე ჩამოვიდნენ ბათომში.

გორი

✦ დღეს, 24 ივნისს, ქ. გორში გამოვა პირველი ნომერი გაზეთ „ქართლი“-სა ბ-ნ ია ეკალაძე-ცინცაძეს რედაქტორობით.

გაჭრა

✦ მეღვინეობისა და მევენახეობის ბაქოს კომიტეტმა აგრონომი ბაშინჯაგიანი გაჰგზავნა ბაქოს გუბერნიაში, მეღვინეობისა და მევენახეობის საჭიროებათა შესასწავლად და გამოსაკვლევად.

✦ 20 ივნისს გარდაიცვალა ფრანგული ენის მასწავლებელი გრაფი აპრაქსინი, რომელიც დასჩრა მოწაფემ ქიაზიზოვმა.

სოფლად

✦ სოფ. **საქობო** (სიღნაღის მაზრა) ნიკვაშვილი დატვირთული ურმით სოფელში ბრუნდებოდა. თოკების შესამაგრებლად სოფელთან ახლო მდებარე ხიდზე ურემი შეაყენა და თავის ცოლს, ნინოს, უთხრა კამეჩების წინ დამდგარიყო. უეცრად კამეჩები წინ წავიდნენ და რკები ქალს გულში გაარტყეს. ნინო წაიქცა, თავი ქვას დაჭკრა და იქვე გარდაიცვალა.

✦ **ტფილისის მაზრა.** ეხლახან მოსულმა ნიაღვრებმა ბევრი ზარალი მიაყენა სოფლებს. შეგუბებულმა წყალმა ალაგ-ალაგ ღობე ყორეები დაარღვია, გააფუჭა გზები და მოძრაობა შეაფერხა. ძლიერ დაზიანებულია სართიჭალის ნაწილი. სოფ. ხაშმში დანგრეულია სახლები, წალეკილია ბაღები, ვენახები, და ნათესი. წყალში დაიხრჩო 11 წლის ევგენი ჯანიაშვილი. ზარალი ძალიან დიდია.

ქართულ სასოფლო-სამეურნ. საზოგადოების მოღვაწეობა ქართლში.

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა მოკლე ცნობანი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოქმედების შესახებ ქართლში.

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ქართლში საზოგადოებას გამართული აქვს საჩვენებელი მინდვრები. ამ მინდვრების დამუშავება სწარმოებს საზოგადოების აგრონომის ხელმძღვანელობით გაუმჯობესებულ იარაღით, რომელთა სურათები დღეს დაბეჭდილია დამატებაში.

გამოსახულია, მაგალითად, **აკისეული კბილებიანი** რკინის ფარცხი, რომელიც დღეში ჰფარცხავს 7-8 დღიურს, საუცხოვოდ აფხვიერებს მიწას და სავსებით გამოაქვს ნახნავში მყოფი ბლახი; ეს ის ფარცხია, რომელსაც ადგილობრივმა გლეხობამ „ჰანგას ჰირი“ დაარქვა; ღირს ეს ფარცხი 32 მანეთი; იწონის ხუთს ფუთს; სჭირდება ყევარი ხარკამეჩი; შემდეგ სურათზე გამოსახულია ისევ **საკისეული ასაოშებელი** შვიდი, ბატის ფეხის მაგვარ, თათებით; ასაოშებელი დღეში აკეთებს 3—5 დღიურს; აოშებს მიწას 2 გოჯის სიღრმეზე; სჭირდება სამი უღელი ხარი; აშაოშებლით გაკეთებულ სასიმინდეში ბალახი ნაკლებად ერევა სიმინდს, ვიდრე ქართულ კავით გაკეთებულს, რაიც ნათლად გამოირკვა სოფ. აბისში თავ. ალ. ამირაჯიბის მამულში და სოფ. გომში სინდიკატის მიერ დათესილ სიმინდში; სუფთად იმიტომ მუშაობს, რომ წინა თავის ნამუშევრის ნაწილს თათიც აკეთებს ცოტას, ისე რომ დაუმუშავებელი არაფერი რჩება; ხოლო რაკი ბალახი ნაკლებად მოერევა სიმინდს, მისი თოხნა უფრო ადვილი და იაფი ჯდება.

მესამე სურათზე გამოსახულია ცნობილ ფირმის **„გელფერის-საღეს“ სათესი მანქანა**; ეს მანქანა დღეში სთესავს 4—5 დღიურს, სჭირდება ერთი ან ორი უღელი ხარი და ორი მუშა, თესლს ეს მანქანა თითონა სთესავს მწკრივად, შარ და შარ, იმ სიშორეზე, როგორც ისურვებთ; სთესავს პურს, ქერს, შვრიას, სიმინდს, ლობიოს, სტაფილოს; სურათზე დაყენებულია სიმინდის სათესად, შარი-შარზე 15 ნახ. გოჯის დაშორებით (ველის სიგანე 15 ნახ. ვერშოკი); სიმინდი უნდება დღიურზე ერთი ჩანახი; სხვა თესლიც ითესება ამით; რაიც ჩვენში ითესება დღიურზე თესლი, მანქანით დასათესად საჭიროა იმისი ნახევარი ან ერთი მესამედი; თესლს თითონვე ყრის, ჰმარხავს მიწაში, ისე რომ დათესვის შემდეგ დაფარცხვა აღარა სჭირდება; მანქანით დათესილი პური უფრო მეტი მოდის დღიურზე—ერთი ან ორ კოდით. მანქანა ღირს 135 მანეთი.

ასე მწკრივად დათესილი სიმინდი ითოხნება საგანგებო **„მათოხით“**, რომელიც დღეში სთოხნის **ორ დღიურს**. სჭირდება ერთი ცხენი ან უღელი ხარი; მათოხი გამოთოხნის მხოლოდ ველს, თვით შარებში (მწკრივებში) გამოთოხნა უნდა თოხით; დღიურს უნდება 2—3 მუშა. ერთს დღიურს სიმინდის პირველს ფოხნას („ჰირადს“) სჭირდება 3—4 მუშა; თოხით თოხნას კი სჭირდება დღიურს—6—8 მუშა; მეორე გამოთოხნაზე მათოხით თოხი აღარა სჭირდება, სულ გამოსთოხნის მათოხი; მეორე გამოთოხნაზე დღიურ სიმინდს სჭირდება $1^1/_2$ მუშა; რაიც ჩვენებურ წესთან შედარებით ძალიან სარფაა. ამას გარდა, რაკი ასე იაფად ჯდება მათოხით სიმინდის თოხნა, სიმინდის გათოხნა შეიძლება უფრო ხშირად, რის გამოისობით მოსავალიც მეტი მოდის; მათოხი ღირს 25 მანეთი.

დანარჩენ სურათებზე გამოხატულია მათოხის ნამუშევარი, გათოხნილი სიმინდი სოფ. თამარაშენში და სოფ.. გომში (გორის მაზრა).

კოოპერაციის დღესასწაული *)

10 ივნისს გაიხსნა და დაიწყო მოქმედება დ. აბაშისა, კვათანის სოფლის საზოგადოების და მათი მიდამოების მომხმარებელმა საზოგადოებამ „ანგარიშმა“.

საზოგადოების წესდება დაამტკიცა ქუთაისის გუბერნატორმა გასული წლის 16 ივლისს. როგორც წესდების დამტკიცებამდე, ისე მას შემდეგ საზოგადოების დაამარსებლებმა გამართეს რამდენიმე ლექცია და მოხსენება საერთოდ კოოპერაციისა და კერძოდ მომხმარებელ საზოგადოების მნიშვნელობაზე. საზოგადოების დამაარსებელნი მტკიცედ დგნენ იმ აზრს, რომ უფრო ძნელია არა-კოოპერატორი წევრის კოოპერატორად გარდაქმნა, ვინემ არაწევრისა. ამ მიზნით მათ ყოველივე იღონეს იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის შეგნებული ხასიათი მიეცათ, რომ თავიდანვე გამსჭვალულიყვნენ წევრები საზოგადოებისადმი სიყვარულით და გაეთვალისწინებინათ მათ ყოველივე დაბრკოლებანი, რომელნიც ელობებიან და უშლიან ხელს ასეთ საზოგადოების დაარსებასა და არსებობას. დამაარსებელთ ამისათვის, რა თქმა უნდა, ვარდის თაიგულები არ მოელოდა, ადგილობრივი ჩარჩ-მევახშენი თავიდანვე აყაყანდნენ და არავითარ ზომებს არ დარიდებიან, რომ თავიდანვე აღმოეფხვრათ ნიადაგი საზოგადოებისთვის, მაგრამ ამაოდ. ყოველივე მათი ხრიკები, მართალია, საქმეს აჭიანურებდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, შეგნებულ ხასიათს აძლევდნენ საზოგადოების დაარსებას და აორკეცებდნენ დამაარსებლების ენერგიას. დიახ, ამ ახალ საქმეს, როგორც ყოველგან და ყოველთვის, აქაც გაუჩნდნენ მტრები, აქაც ძნელი გახდა მუშაობა საზოგადო საქმისთვის, აქაც თუ ერთი რაშეს გაკეთებას იწყებდა, ათი და კიდევ მეტი ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას. ჰორიკანობა, პირადი ინტერესების საზოგადო ნიადაგზე გადმოტანა და სხვა—ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. მე აქ ბევრ მაგალითებს მოყვანა შემიძლია, მაგრამ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს.

დამაარსებელთ, წევრთ და საერთოდ საზოგადოების მეგობართ დიდი სიხალისე ეტყობოდათ. დარიც მშვენიერი იდგა და ამ გარემოებამაც დიდად შეუწყო ხელი დღესასწაულის კარგად ჩატარებას.

შუადღეს ახალ-სენაკიდან ჩამოვიდა აღგილობრივი ნორმალურ სასწავლებლის მოწაფეთა მუსიკალური ორკესტრი ზედამხედველის სპ. ივ. ენუქიძის მეთაურობით. დღესასწაულს ბრწყინვალე ხასიათი მიეცა. შუადღიდანვე დაიწყო ხალხის მოგროვება საზოგადოების ერთ დამაარსებელის ალექსანდრე ფაჩულიას მშვენიერ ეზოში, რომლის გვერდით იხსნებოდა საზოგადოების მოქმედება. ა. ფაჩულიას მეუღლე ერთი წლის წინეთ განსვენებული ეფროსინეც დიდის სიყვარულითა და ენერგიით ეკიდებოდა ამ საზოგადოების დაარსებას და ის კიდევაც ღირსი იყო იმისი, რომ მის მიერ მოშენებულ ეზოს მისი ამ წუთისოფელს მოშორების შემდეგ სიხალისე ამ საზოგადოების დღესასწაულით დასტყობოდა, თუმცა ზოგიერთი ბეცი გონების პირნი ამის გამო ცუდად იხსენიებდნენ უდროვოდ დაქვრივებულს ალექსანდრეს. საღამოს 5 საათზე გადახდილ იქმნა პარაკლისი საზოგადოების გამო, რომლის შემდეგ ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორის ბ-ნ იასონ გაბილაიას თხოვნით ადგილობრივმა ფოტოგრაფმა ი. ო. კაჭარავამ გადაიღო ორი სურათი. მომხმარებელთა საზოგადო სავაჭრო განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა შესაფერ მორთულობით. ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო არა უბრალო სავაჭრო, არამედ **გამრავლებული ოჯახი**. კედლები მორთული იყო პლაკატებით: „კოოპერაციის განვითარება“, არავითარ რეკლამას ადგილი არ ჰქონდა დათმობილი. მხოლოდ მშვენივრად დაწერილი საზოგადოების სახელწოდება: **„კოოპერატივი „ანგარიში“. დ. აბაშისა და მათი მიდამოების მომხმარებელთა საზოგადო სავაჭრო № 1“** და სხვ.—შესაფერ ელფერს აძლევდნენ საზოგადოების შენობას. დასასრულ საზოგადოების დაარსების ინიციატორმა და გამგეობის მდივანმა აუხსნეს დამსწრეთ საზოგადოების მნიშვნელობა და მოუწოდეს მათ მხურვალე მონაწილეობის მისაღებად. საღამოს $8^1/_2$ ს. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა.

საზოგადოებამ სრულებით მიიღო როჩდელის პრინციპები: გაყიდვა ნაღდზე, გაყიდვა ნორმალურ ფასებში, ერთ წევრს ერთი ხმა და სხვ. გამგეობისა და საბჭოს წევრნი—ყველანი სოფლელნი არიან: ა. ფაჩულია, ბ. ცომაია, მელ. გაბილაია, ვ. ცომაია, ქ.ბ. ო. ცომაია, სპ. ჩოჩია, ალ. ჭანტურაია, რ. ჭანტურაია, ს. ჩაჩავა, სიმონია და სხვ. დიდის სიყვარულით ეკიდებიან საზოგადოებას. დამაარსებლების შრომამ მალე გამოისხა ნაყოფი: 10 ივნისს საზოგადოებაში ჩამოწერილი იყო მხოლოდ 80 წევრი, საპაიო კაპიტალი უდრიდა 400 მ., საწევრო—80 მ. დღემდე კი საზოგადოების თანხა აღემატა ორი ათასს მანათს. ერთმა ვაჭარმა **ლუკა ჩემიამ** მთლად გადასცა საზოგადოებას თავის მშვენივრად მორთული საბაკალეო სავაჭრო და **დღეს, 24 ივნისს დანიშნულია ამ საზოგადოების უმთავრესი მაღაზიის გახსნა შიგ დაბა აბაშაში.** გამგეობას ანგარიშები სამაგალითოდ აქვს დაყენებული, წევრები შეგნებულად უყურებენ საზოგადო საქმეს და ყველა ეს თავდებია ამ საზოგადოების ბრწყინვალე გამარჯვებისა.

ჩვენც ვუსურვოთ, მკითხველებო, ამ საზოგადოებას დიადი მომავალი და ბრწყინვალე გამარჯვება! დაე, ამ სოფელელთა მიერ გაკეთებული საქმე წასაბაძ მაგალითად გადაქცეულიყოს ჩვენი ქვეყნისთვის!

დამსწრე.

*) იხ. სურათი ამ ნომრის დამატებაში.

ქუთაისის ამბები

სამეურნეო სასწავლებელი ქუთაისში ბევრს მოსვენებას არ აძლევს. 2—3 წლის წინათ ჯერ აქაურმა მოხელეებმა მოინდომეს ამ სასწავლებლის ხელში ჩაგდება, მაგრამ როცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების აქაურმა განყოფილებამ საღათას ძილს დაიწია თავი და მოქმედება დაიწყო, ეს სურვილი მოხელეებისა ვერ განხორციელდა. მას აქეთ სამეურნეო სასწავლებელს მოესპო საადგილ-მამულო ბანკის სუბსიდია 3000 მანეთი ამ გარემოებით სარგებლობენ თურმე ეხლა, რომ სამეურნეო საზოგადოებას გამოაცალონ ხელიდან სასწავლებელი. ასეთია თურმე ნამესტნიკის საბჭოს გადაწყვეტილება, თუ სამეურნეო საზოგადოება ან საღსარს არსებობისას არ მოუპოვებს სასწავლებელს ან მის რეორგანიზაციას არ მოახდენს. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ სამასწავლებლო ოლქის მზრუნველსაც იერიში არ მიეტანა სამეურნეო სასწავლებელზე. მას, ქალაქისა და შავი ქვის მრეწველთა დახმარებით, განზრახვა აქვს სამრეწველო სამთო-სამეურნეო სასწავლებელი დაარსოს ქუთაისში, და რადგან ასეთი სასწავლებლისათვის შესაფერი ადგილი ვერ მოუპოვებია, სამეურნეო სასწავლებლის ადგილი ამოურჩევია.

ეხლა, როგორც გავიგეთ, სამეურნეო საზოგადოების წევრნი დაფაცურებულან და ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან მათგან შექმნილი დაწესებულება, მაგრამ დიდ ხანს გასტანთ ენერგია?!

* * *

ერთი მეორეზე გადაჰყავთ მასწავლებლები აქაურ სკოლიდან სხვა ქალაქებში. რეალური სასწავლებლის ინსპექტორის ილარიონ ლორთქიფანიძის გადაყვანამ ყველა გააკვირვა რადგან იგი მთელის თავის ძალღონით ემსახურებოდა თავის საქმეს და ვერავინ იტყვის, რომ იგი სასარგებლო კაცი არ ყოფილიყო რეალური სასწავლებლისათვის თითქმის ორი წელიწადი ასრულებდა იგი დირექტორის მოვალეობას. ყველას ეგონა წარმატება მოელისო. ამის მაგივრად კი გადაკარგულ თემირხან-შურაში გაჰგზავნეს ინსპექტორად. გადაიყვანეს აგრეთვე გიმნაზიის ინსპექტორი სადოვოვიც, რომელმაც ორი წლის განმავლობაში საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სხვა და სხვა ამბავი

საინტერესო სტატისტიკა.

ვინ არ იცნობს სახელგან. სპარტელ ბიროს „გამთქმელ“ დეპუტატს ვლ. პურიშკევიჩს? „რუს. სლ.“ სათანბიროს ოფიციალური ანგარიშების მიხედვით შეძლება საინტერესო ცხრილი შეუდგენია ამ დეპუტატის „მოღვაწეობის“ შესახებ:

1 სესიაში—სხვა და სხვა მიზნითა და უმიზნოდ პურიშკევიჩი ლაპარაკობს 46 ჯერ. აწყვეტინებს ორატორებს ლანძღვით, ოუაული და ბესარაბული თქმულებით 100 ჯერ. თავმჯდომარისაგან შენიშვნას ღებულობს 20 ჯერ.

2 სესიაში—გამოდის 25 ჯერ. აგინებს და აწყვეტინებს ორატორებს 193 ჯერ. თავმჯდომარისაგან ღებულობს შენიშვნას 40 ჯერ.

3 სესიაში—ლაპარაკობს 52 ჯერ. ხელს უშლის ორატორებს 202 ჯერ. თავმჯდომარე აძლევს შენიშვნას 57 ჯერ.

4 სესიაში უკვე იღლება—ლაპარაკობს მხოლოდ 18 ჯერ, აწყვეტინებს სხვებს მარტო 56 ჯერ და ღებულობს 55 შენიშვნას.

ძთელი ჯამი რომ შევადგინოთ, რომელშიც არ შედის მე-5 სესია, მივიღებთ, რომ:

1) ულაპარაკნია 142 ჯერ.

2) აგინებია და აწყვეტინებია ორატორებს 559 ჯერ.

3) თავმჯდომარისგან მიუღია შენიშნვა 172 ჯერ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოთხივე სესიაში იყო სულ 468 სხდომა, გაძოვა, რომ პურიშკევიჩი ყოველ მესამე სხდომაზე ლაპარაკობდა, ყოველ მეორე დღეს ილანძღებოდა და ყოველ მესამე დღეს კი თავმჯდომარისაგან შენიშვნას ღებულობდა.

მაგრამ რადგან შეუძლებელი ყოფილა იმ „ქებათა“ აღნუსხვა, რომელსაც „პატრიოტი დეპუტატი“ ადგილიდან წამოისროდა ხოლმე, ამიტომ მისი ლანძღვა-გინების საერთო ჯამი ხუთჯერ ძაინც უნდა გადიდდეს; მაშინ მივიღებთ დაახლოვებით 599X5 ე. ი. 2.795.

ასეთია პურიშკევიჩის „მოღვაწეობა“ რუსის ხალხის წინაშე.

ლენის ამბები

„რუსკ. სლოვ.“ დაბეჭდილია წერილი, რომლის შინაარსიც გადმოცემულია 4 აპრილის კატასტროფის დამსწრე მუშისაგან. აი რას ამბობს დამსწრე გაფიცვის შესახებ:

„გაფიცვის გამოცხადებისთანავე დაიწყო ქალების მოძრაობაც. ჩვეულებისამებრ, ქალები ყაზარმებში თავის სამუშაოს გარდა რომლისთვისაც ივინი განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებდნენ, ვალდებული იყვნენ მუქთად ემუშავნათ მაღაროების ადმინისტრაციის ოჯახებში. უკანასკნელნი სარგებლობდნენ ამ გარემოებით თვისი პირადი მიზნისათვის: თუ რომელიმე ქალი მოეწონებოდათ, მიიწვევდნენ შინ და ძალას ატანდენ მეძაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმრის დათხოვნით ემუქრებოდნენ. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ითმენდნენ, როგორც გარდუვალ უბედურობის (945), სიცოცხლე ღამის სიზმარსა ჰგავს (1572), წამიერია და არავისაგან მისანდობელი (1575) და სამე სოფლისა მხოლოდ ზღაპარი და ჩმახია (697); ცოდნა კიდევ იმისთვის გვინდა, რომ სიზმარსა და ამაოებას თავი დავაღწიოთ და დავიმკვიდროთ სასუფეველი, შევუერთდეთ „ზესთ მწყობრთა“ გუნდსა (1771); სიყვარული აგვამაღლებს (772); ძმა ძმისა უნდა ძმობილი (914); უნდა ვუერთგულოდ ჩვენს მოყვარეს, რომელთანაც გვაკავშირებს უფრო მტკიცე კავშირი, ვიდრე კავშირი ნათესაური (სისხლისა); ასეთ მოყვარისათვის ჰხამს თავი არ დავრიდოთ სიკვდილსა და ჭირსა (296).

მთელი პოემა თავიდან ბოლომდე სავსეა მეგობრობის ქებათა-ქებითა და მკითხველის თვალწინ იშლება ამბავი იმისა, თუ მნათობთა დარნი სამნი მეგობარნი, როგორ ეცლებიან თავს ერთი-მეორეს (6); თვით უზენაესმა მიჯნურობამ ადამიანის გულში გზა უნდა უტიოს ამ უმაღლეს მოვალეობას (მეგობრობას); თვით დანიშნულმა, ახლათ ჯვარ-დაწერილმა უნდა დასთმოს ამ გრძნობისათვის ყოველივე (292, 685, 688, 1541); ადამიანი მოყვრისათვის გზად და ხიდად ედება (685), რომელზედაც მისს მოყვარეს უვნებლად შეუძლია გავლა. რომ ქალებიც იზიარებდნენ ასეთს მოყვარეობას, ტარიელისა და ასმათის დამოძობილებისაგანა სჩანს, და ერის უმაღლესის კულტურის დამამტკიცებელია ისა, რომ ასეთი კავშირი დღესაც არსებობს, არ გვეგულება სხვა მხარე, სადაც კაცისა და ქალის ასეთი წმინდა კავშირი შესაძლებელი იყოს, სადაც ესენი ისეთის კავშირით იყვნენ შეკავშირებულნი, რომელთანაც ახლო ცოლ-ქმრულის კავშირისა ყოველად შეუძლებელი ხდებოდეს. ასეთ ჩვეულებათა გავლენას უნდა მივაწეროთ ერთის მხრით ერის უმაღლესი კივილიზაცია; აგრეთვე ჰეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ქალისადმი პატივისცემა ძველის-ძველ კულტურის ნიშანია. რუსთაველი მგოსანია მთელის ერისა; და გაწმინდაკებულს ზნე-ჩვეულებას ერის მხოლოდ ერთი რომელიმე წრე კი არა ჰქმნის, ეს ზნე-ჩვეულება რომელისამე წრის პრივილეგიას კი არ შეადგენს, არამედ შემოქმედებაა მთელის ერისა; ის ადგილი (234,235) სადაც ავთანდილი წამიერად ივიწყებს თავის „ვაჟკაცობას“, ყველა ქართველს სირცხვილითა სწვავს, და თვით დღევანდელს, შედარებით, გადაგვარების ხანაში შეუძლებელია ქართველი მამაკაცი ქალის წინაშე უწესოდ მოიქცეს. ქალი მამაკაცის სწორია; ლომის ლეკვები იგივე ლომები არიან (39); პოემის სამი გმირი ქალი დედოფლები არიან, სრულის უფლებით მოსილნი; თავიანთის გათხოვების საქმეს სრულს თავიანთს ნება-სურვილზე სწყვეტენ, ჰმართავენ თავიანთს სამეფოს; ფატმანი, ვაჭართ უხუცესის ცოლი, როცა ქმარი სხვაგანაა ხოლმე წასული, მისულ ვაჭრებისაგან ბაჟს იღებს, წინ უძღვის ვაჭართა ამქრის ცოლების კრებულს.

(შემდეგი იქნები)

თ. სახოკია.

რებას. გაფიცვის კომიტეტში აღიძრა ქალთა საკითხიც და შემუშავდა მათი მოთხოვნანი, რომელნიც ორი პუნქტით გამოიხატებოდა: ადმინისტრაციის ოჯახებში მუშაობისათვის ხელფასის დაწესება და პროსტიტუციის მოსპობა.

4 აპრილს მუშებმა იწყეს ყრილობა, როგორც ყოველთვის, სახალხო სახლში, ფეოდოსიის მაღაროებზე ამ დროს მიიღეს „მაღლიდან“ რაღაც ცნობა.

ტულჩინსკი ჩამოვიდა ზევიდან დეპეშით ხელში. იქვე გამწკრივდა ფეოდოსიის მაღაროებზე მყოფი ჯარი. ტულჩინსკი შეერია მუშათა გროვას დეპეშის წასაკითხად. არც იგი და არც მუშები არ მოელოდნენ, რომ ჯარი სროლას დაიწყებდა, მაგრამ შემოგვიერთდა თუ არა ტულჩინსკი, ჯარმა სროლა ასტეხა. ინჟინერმა ქუდისა და ცხვირსახოცის ქნევა დაიწყო, მაგრამ სროლა არა სწყდებოდა. იგი მიუბრუნდა მუშებს ძახილით: „მიშველეთ“ და წინადადება მისცა მათ დაწოლისა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტულჩინსკის ქუდი მთლად დაცხრილული იყო და ის მუშები კი, რომელნიც მას ზევიდან აწვნენ და იცავდენ, ზოგი „მკვდარი და ზოგიც დაჭრილი.“

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

სანღვარ-გარედ

23 ივნისი.

საფრანგეთის პალატაში.

პარიზი. პალატამ 90 მილიონი ფრანკი გადასდო ინდოეთის ჩინეთში საზოგადო სამუშაოთა მოსაწყობად და მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც სამრეწველოს მუშათათვის 10 საათის სამუშაო დღეს აწესებს.

ალბანეთის ამბები.

სტამბოლი. ალბანეთში მყოფ ჯარის უფროსად ფეთხი-ფაშის მაგივრად დანიშნეს ჯანიდ-ფაშა, ზარბაზანი დაუშინეს და მთლად მოსრეს ისა ბელეტინაცის სახლი. ბელეტინაცი ჩერნოგორიის საზღვრებისაკენ გაქცეულა.

სოფია. ალბანეთის მდგომარეობა თანდათან უარესდება. აჯანყებულან მირიდიტები და მალისორებთან ერთად ალბანელებს მიმხრობიან. ალბანეთში ყოველ დღე აუარებელ ჯარს ჰგზავნიან.

ოსმალეთის ვითარება.

სოფია. სტამბოლიდან იუწყებიან, აფიცრებში ისევ მღელვარებაა, ჯარიდან გაქცეულებს დიდის სიმპატიით ეპყრობიანო. აზრუმიდან, კონიდან, სმირნიდან და დარდანელიდან მოსული აფიცრების დეპუტაციები მინისტრს გადადგომას ურჩევენ.

დიდი ვეზირის კანდიდატად ქიამილ-ფაშას ასახელებენ.

ალბანელებისა და მთავრობის ჯარის შეტაკება.

მიტროვიცა. ქალაქს ახლო აუარებელი ალბანელი შეგროვილა. ჯარმა მიტროვიცას მიდამოები დაიჭირეს და ზარბაზანი არნაუტელთა ბანაკს დაუმიზნეს. 20 ივნისს დაიწყო ბრძოლა. 13 საათის ბრძოლის შემდეგ არნაუტელებმა უკან დაიხიეს და ჯარმა დაიჭირა სოფელი ბელეტინი, სადაც შვიდი მოკლული კაცი უპოვნიათ. ოსმალებისათვის რამდენიმე კაცი მოუკლავთ და 15 დაუჭრიათ. ბრძოლაში 10 ბატალიონს მიუღია მონაწილეობა.

გაქცეული ჯარის კაცები.

სოფია. ყოველ დღე მაკედონიიდან აუარებელი ჯარის-კაცი მოდის, განსაკუთრებით ბულგარები. ისინი ოსმალეთის ჯარიდან გამოქცეულან.

სოციალ-დემოკრატები ავსტრიის პალატაში.

ვენა. სხდომის დამლევს სოციალ-დემოკრატმა აღლერმა წინადადება შეიტანა პალატაში, შემდეგ სხდომაზე სასანიტარო კომისიის მოხსენება მოვისმინოთო. წინადადება მიღეს 746 ხმით 70 წინააღმდეგ. კენჭის ყრის დროს შეუმჩნევიათ, რომ უკრაინელთა სოციალ-დემოკრატები წინადადების წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ, პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა რეგერმა დაუყვირა უკრაინელებს: „რუსის ღორებოო“. უკრაინელი პეტრიცკი მუშტის ქნევით გაექანა რეგერისაკენ, მაგრამ სხვა სოციალ-დემოკრატებმა შეაჩერეს. ვიცე-პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა პერნესტორფერმა ხმაურობის დროს სხდომა დაჰხურა.

რუსეთი

იუშჩინსკის მკვლელობა.

კიევი. საოლქო სასამართლოს შუამდგომლობის გამო პალატამ გააუქმა თავისი დადგენილება ბეილისის სასამართლოში მიცემის თაობაზე, რომელსაც იუშჩინსკის მოკვლას აბრალებდნენ. საქმე ხელ-მეორედ გამოსაძიებლად გადაეცა ვისაც ჯერ არს.

გაზეთების დაჯარიმება.

პეტერბურგი. „გროზას“ 500 მანეთის ჯარიმა დაადეს, „სოვრემენი მირს“ 300 მანეთისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ხალ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a**, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბაგრო მატ.** № 78/79, მე-I და მე-II კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 2 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა; 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედეანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თბთეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ჭალანთბაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტანი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რაყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაქნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტარაზნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტარაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით სადამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკს, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკევობით სადამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტარახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერეიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3, **„კავკაზი მერკური“** ტელ. 682.

განცხადებანი

გ-ნო იასონ ჭოლოკავა!

თანახმად თქვენი წერილისა ვახაბელებ საქმის გასარჩევად მედიატორთ: პავლე ფირცხალავას, ნიკოლოზ გორტელიშვილის და სანდრო ალავიძეს. გთხოვთ თქვენც დასახელოთ სამი პირი და ამ პირებმა მოწვეულ თავმჯდომარესთან ერთად განიხილონ და გადაწყვეტონ ჩვენი საქმე.

(1—531—) **სემიონ ალავიძე**

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (7)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო საქურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ბ. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბახანოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვის ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქბაბიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბგეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ბ. ნავასარდიანი.** (წ. 1074.85)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის სავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფებს:

ბლაგოვანოვი—საშარდე ორგანოთა, ეთერშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსას სულით-ავადმყოფ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—75)

სამოგზაურო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, **№ 34,** ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში, 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მომახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.** (თ. 1037.70) **კარტუმოვი.**

ქალებისათვის

არსებობს საზაფხულო კურსები ჭრა-კერვისა. სწრაფად ამზადებენ მასწავლებლობისა და ოსტატობისათვის, ატესტატის აღების უფლებისათვის. მიიღება აგრეთვე შეკვეთა მოხდენილ ტანისამოსისა და კოსტიუმებისა. ფასები ხელმისაწვდომია. სუდებნაია ქუჩა, № 17. (1.530.1)

იყიდება ლიმონადის ქარხანა „შვეიცარია“

ნაძალადევში

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კავთიაშვილს.** (25—4½—21)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. ხიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი: Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симон-вой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.231.13)

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

მ ე ლ ნ ე ბ ი

ამხ. „ქ ი მ ი კ ო ს ი“. ქ. ტფილისი. მალაკნის ქ. № 16. (6.524.3)

გამოცდილ მასწავლებელ ქალბატონთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს სპეციალურ სწავლა დასრულებულნი,** ამზადებს ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო** და **დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჭრო და საქალაქო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აგთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის, 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუჟნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—4½ 5—13

ვერა „გაღიმედემი“.

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“.** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ალაგობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი ასმელ-ეული. სამზარეულო ახლო და ევროპიული. ვაკისრულობთ სადილებ-სა და ვახშმების გამართვას. ყოველ დღე არის **„ცოცხა-ლი თევზი“.** დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც.

ტელეფ. № 296 პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,

„კოლხიდა“ და **„თამარა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სავაჭრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37. 1ᴳ6.21)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია

ს. პეტერბ. საპოლიტეხნიკო კურსები

ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი (ორთავ სქესისათვის)

ამხ. პროფესორთა და მასწავლებელთა.

დაარს. ტეხნოლ. ინსტ პროფესორ. ბ. ფ. რეპპოსა, მ. გ. ეფანგულოვისა და ი. მ. ხოლმოგორ-ოვის მიერ. რიგის სამოსწავლო ოლქის მწრფანებლად ნამყოფ დ. მ. ლევშინა და ინჟენ. ტეხნ. ნ. დ. ფილატოვის მიერ. განყოფილებანი: სამექანიკო, საელექტროტეხნიკო, საამშენებლო, საკომერციო-საეკონომიო. მოწყობილია საგანგებო სადგომი. ლაბორატორია და კაბინეტი. მსმენ. შეუძლიანთ იმუშაონ სახელოსნოში. უშაღ. სასწავ. მისვლები ცენზი—სამოქალაქო სასწავლებელი ან საშუალო სასწავლებლის 4 კლასის მოწმობა. პროსპ. იგზავნება ხუთ 2 კაპ. მარკის გაგზავნით. იქვე ცნობები **ელექტრომოტორების კურსებისა.** С. Петербургъ, Разъѣзжая ул., № 40, телеф. 142—19. Метцль 89541. (4—1317—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 28 ივნისს შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მეშვიდე საპოლიციო უბანში, კახეთის მოედანთან მდებარე ნუნუფაროვის

ეზოში მყოფ **საქალაქო სასწორის** (ყანთარის)

იჯარით გასაცემად.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში დილის 9—2 საათამდე. (3.1328.3)

შესამჩნევი სიიაფე

მხოლოდ რვა ღღე 25, 26, 27, 28, 29 და 30 ივნისს

და 2 და 3 ივლისს

ს. ს. დოროშინოვის მაღაზიებში:

1) უმთავრესში, სოლოლაკის ქუჩაზე, გურგენოვის სახლში. ტელეფონი № 583.
2) იაროსლავისაში, მიხეილის ქუჩაზე, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით. ტელეფ. № 838.

რადგანაც უმთავრესი მაღაზია საფუძვლიანად უნდა შეკეთდეს და სეზონიც თავდება, ამიტომ ზემო დასახელებულ დღეებში

ფასები ეყრება საქონელზე

შესამჩნევად დაკლებულია

ე. ი ნორმალური ფასის ნახევარზე უფრო ნაკლებ

განსაკუთრებით იაფად გაიყიდება შეკერილი საზაფხულო ტანისამოსი:

საზაფხულო ხალათები და პერანგები, კაპოტები, მატინე და სხვა. ქოლგები ფერადი „ფანტაზი“ და სხვა. ჩულქები, წინდები, ფერადი საცვალი და სხვა. ყოველგვარი საზაფხულო ქსოვილები. საზაფხულო ტრიკო და მაუდის საქონელი მუსლინი მატყლისა. მატყლის მატერიები. მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილია დიდძალი ნიმუშები სეზონის საქონელისა, რომელსაც ზედ ადევს ფასი.

შესამჩნევი სიიაფე მხოლოდ 8 დღეს.

25 26 27, 28, 29, და 30 ივნისს და 2 და 3 ივლისს.

(2.1345.2)